გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

16 იანვარი 2026

N 2-8

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს:

ა) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამა (დანართი №1);

ბ) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამა (დანართი №2);

გ) მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამა (დანართი №3).

2.საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიური ანგარიშის წარდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 24 იანვრის N2-19 ბრძანება.

4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით სონღულაშვილი

მინისტრი

https://edocument.ge/mea/public/#/8-2-4-202601161107

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE